




საშურის მოახბე



№28 (2779)

4 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2020 წელი

არჩევნები - 2020

მაჟორიტარობის კანდიდატების არჩევნების მეორე ტური 21 ნომბერს გაიმართება

31 ოქტომბერს, ქვეყნის მასშტაბით საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება მმართველმა პარტიამ მოიპოვა. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული ყველა უბნის წინასწარი მონაცემების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“, ახალი მოწვევის პარლამენტში, ამ დროისთვის, 75 მანდატი აქვს, აქედან 61 მანდატი პროპორციული სისტემით მოპოვებული მანდატია, 14 კი-მაჟორიტარული ოლქებიდან.

ჩვენს მუნიციპალიტეტში არჩევნებმა ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა. როგორც ჩვენთან საუბარში საოლქო კომისიის თავმჯდომარემ იმედო ლაცაბიძემ აღნიშნა, დღეისათვის სულ ორი საჩივარია დაწერილი, რომლებიც ტექნიკური ხასიათისაა და, რა თქმა უნდა, არჩევნებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, რაც შეეხება აქტიურობას, საარჩევნო ყუთთან ამომრჩეველთა 58, 38 პროცენტი მივიდა და თავისი აქტიურობა დააფიქსირა.

არჩევნების პირველმა ტურმა ჩვენს საარჩევნო ოლქში(საშური, ქარელი, გორის სოფლები), მაჟორიტარებს შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა. არსებული წესით, გამარჯვებისათვის საჭირო იყო 50/+1 ხმა-საუკეთესო შედეგის მქონე „ქართული ოცნების“ კანდიდატს, ზაზა დუგლაძეს სულ რაღაც 0,66 %დააკლდა, ამიტომ 21 ნომბერს მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური გაიმართება, სადაც პარლამენტარობისათვის ორი კანდიდატი-ზაზა დუგლაძე („ქართული ოცნება“) და ნატო ჩხეიძე („ნაციონალური მოძრაობა“) იბრძოლებენ.



Georgian service (RFE/RL)

პროპორციული სისტემა

ხმების რაოდენობა საშურის, ქარელის და გორის სოფლების ოლქში (2 ნომბრის მონაცემები)

- №1 თეთრები-28(0,5%);
- №2 ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-“ევროპული საქართველო“-1157(1,94%);
- №3 ნინო ბურჯანაძე-“ერთიანი საქართველო“-726(1,22%);
- №4 დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა-ქდმ-164(0,22%);
- №5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია “ძალა ერთობაშია“-17226(28,93%);
- №6 მომავალი საქართველო-66(0,09%);
- №7 თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის-52(0,09%);
- №8 დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი “პატრიოტთა ალიანსი“-2191(3,68%);
- №9 გაჩეჩილაძე-მწვანეთა პარტია-22(0,04%);
- №10 ლეიბორისტული პარტია-656(1,1%);
- №11 მშრომელთა სოციალისტური პარტია-16(0,03);
- №12 მოძრაობა თავისუფალი საქართველოსათვის-21-(0,04%);
- №13 რეფორმერი-34(0,06%);
- №14 ბეჟან გუნავა-ქართული არჩევანი-29(0,05%);
- №16 ახალი ქრისტიან-დემოკრატები-18(0,03%);
- №17 ირაკლი ოქრუაშვილი-გამარჯვებული საქართველო-212(0,36%);
- №18 მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს-37(0,06%);
- №19 ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი-77(0,13%);
- №20 საქართველო-49(0,08);
- №21 თავისუფალი საქართველო(კახა კუკავა, გიორგი წულაია)-284(0,48%);
- №23 ახალი ძალა-41,07%);
- №24 ალექო ელისაშვილი-მოქალაქეები-556(0,93%);

- №25 თავისუფალი დემოკრატები-614(1,03%);
- №26 ეკა ბესელია სამართლიანობისათვის-36(0,06%);
- №27 გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი-1836(3,08%);
- №28 ქართული ფესვები-35(0,06%);
- №30 შეცვალე საქართველო-43(0,07%);
- №31 თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა-53(0,09%);
- №32 სახალხო პარტია-26(0,04%);
- №33 ედპ-17(0,03%);
- №34 სოციალური სამართლიანობისათვის-209(0,35%);
- №36 გირჩი-877(1,47%);
- №41 ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-28 571(47,99%);
- №42 რეფორმატორები-51(0,09%);
- №43 ზვიადის გზა-34(0,06%);
- №44 ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი, ქართული იდეა-169(0,28%);
- №45 ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა-460(0,77%);
- №46 გია ჟორჟოლიანი-სოციალ-დემოკრატები-47(0,08%);
- №47 ზვიად ძიძიგური-საქართველოს კონსერვატიული პარტია-32(0,05%);
- №48 არჩევანი სამშობლოსათვის-20(0,03%);
- №49 ჯონდი ბადათურია-ქართული დასი-15-90,03%);
- №50 პროგრესული საქართველო-10(0,02%);
- №51 ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა-110(0,18%);
- №52 სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი-12(0,02%);
- №53 ტრადიციონალისტები-9(0,02%);
- №54 ანა რეხვიაშვილი,სახალხო მოძრაობა,ქრისტიან-დემოკრატები-4(0,01%);
- №55 ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა-77(0,13%);
- №56 ლელო-მამუკა ხაზარაძე-2481(4,17%);
- №57 მამულიშვილთა ორდენი-სამშობლო-13(0,02%);
- №60 საქართველოს განვითარების პარტია-15(0,03%);

მაჟორიტარული სისტემა

ხმების რაოდენობა საშურის, ქარელის და გორის სოფლების ოლქში (2 ნომბრის მონაცემები)

- | | | |
|--------------------------------------|---------------------------------------|--------------------------------------|
| №16 მაჟორიტარული ოლქი | №17 გურამ ჩალაგაშვილი -344 ხმა(0,59%) | №31 პაატა შუბითიძე - 0197 ხმა(0,34%) |
| №3 ალექსი ჩხიკვაძე-1386 ხმა(2,36%) | №19 ბესიკ ბათურაშვილი -107 ხმა(0,18%) | №36 ნიკა მოსიაშვილი -779ხმა(1,33%) |
| №5 ნატო ჩხეიძე-17 362 ხმა(29,62%) | №20 ირინა ცაავა-101 ხმა -(0,17%) | №41 ზაალ დუგლაძე -28 918(49,34%) |
| №7 თამაზ ჩადუნელი-248 ხმა -(0,42%) | №21 ხათუნა გელაშვილი -552(0,92%) | №44 ლევან ქველაძე -255 ხმა(0,44%) |
| №8 ელიბო პატურაშვილი-2000 ხმა(3,41%) | №30 მერაბ ზურაბაშვილი -145 ხმა(0,25%) | №45 დიმიტრი ღონდაძე -734 ხმა(1,25%) |
| | | №51 რატი სულაძე -108 ხმა(0,18%) |
| | | №55 ზვიად გელაშვილი -147ხმა(0,25%) |
| | | №56 კახა კოჟორიძე -5 237(8,94%) |

კორონავირუსი

ხაშურის მუნიციპალიტეტში 94 დადასტურებული შემთხვევა, 22 პაციენტი გამოჯანმრთელდა

კორონავირუსი კვლავ რჩება ჩვენი პლანეტის უმთავრეს პრობლემად, სულ რაღაც ორი თვე და უკვე წელიწადი შესრულდება, რაც ამ საშინელმა ვირუსმა, რომელმაც სათავე ჩინეთის ქალაქ უხანიდან აიღო, დედამიწას შეუტია. მსოფლიო უკვე ათეულობით მილიონ დაინფიცირებულს ითვლის, გარდაცვლილთა რაოდენობა კი კარგა ხანია, მილიონს გაცდა.

ჩვენი მუნიციპალიტეტი, თებერვლიდან დაწყებული, მთელი 6 თვე ინარჩუნებდა ე.წ. “მწვანე ზონის” სტატუსს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ეს სტატუსი აღარ გვაქვს და დაინფიცირებულთა რიცხვი 100-მდე უახლოვდა. როგორც ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა დავით ჩიქოვანმა განაცხადა: დღეისათვის ხაშურში 94 დადასტურებული შემთხვევა გვაქვს, სამწუხაროდ, არის გარდაცვალების ფაქტიც, - პიროვნება, რომელსაც თანმდევი დაავადებაც ჰქონდა. ზემოაღნიშნული 94 დადასტურებული შემთხვევიდან, 73-ს უსიმპტომო ვირუსი აქვს და ყველა მათგანი თვითიზოლაციაშია. სულ, მათთან კონტაქტში მყოფი პირების ჩათვლით, თვითიზოლაციაში 170 კაცია. დღეისათვის, 21 პაციენტი სხადასხვა კლინიკებში (ხაშური, გორი, თბილისი) მკურნალობს.

როგორც ბატონმა დავითმა აღნიშნა, ინფიცირებულებთან კონტაქტში მყოფი პაციენტების კვლევა შესაძლებელია ხაშურის რეფერალურ საავადმყოფოში. კვლევა უფასოა და მოქალაქეებს შეუძლიათ საავადმყოფოს ლაბორატორიებს მიმართონ 10-დან 12 საათამდე.

აუცილებლად ატარეთ პირბადე, დაიცავით დისტანცია და მოერიდეთ თავშეყრის ადგილებს, აღნიშნა საუბრის დასასრულს დავით ჩიქოვანმა.



P.S. ბატონ დავითთან საუბარი ჩაწერილი იყო 2 ნოემბერს. სამწუხაროდ, გუშინ, მისივე ინფორმაციით, დაინფიცირებულთა რიცხვი კიდევ 20-ით გაიზარდა.

როგორ დაეპარსა 16 წლის ნინო

სიხშირეზე ნარკოტიკული ანორექსია

ეს წერილი 16 წლის ნინო ციციშვილს ეკუთვნის, რომელმაც ძნელად გასამკლავებელი, ნერვული ანორექსია დაამარცხა, რთული გზა გაიარა, მაგრამ მან ეს შეძლო. ეს წერილი თავისი თანატოლები-სთვის დაწერა, რომლებსაც მოუწოდებს, მიიღონ და შეიყვარონ საკუთარი თავი, ისეთი, როგორებიც არიან და რომ, საკუთარი ჯანმრთელობა ყველაზე მთავარია.

კვებითი აშლილობა-ეს ფსიქიკის მოშლაა, სულის განადგურებაა, საკუთარი ნებით საკუთარი სხეულის სამსხვერპლოზე მიტანაა, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რაც კი დედამიწის ზურგზე სისასტიკე არსებულა, ერთად აღებული ყველა სისასტიკე ვერ გადაწონის მის ბოროტებას. იმას, რაც შენს თავს უნდა დამართო, ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ მწარედ შესაგუებელია შენს გვერდით მყოფი ახლობლებისათვის, ამას მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ.

ჩემი თმის, კანის და ფრჩხილების მდგომარეობა საშინელი გახდა, ორგანიზმში არასახარბიელო ცვლილებები დამეწყო, წონა 38 კგ-ს ჩამოსცილდა, ჩემი სხეულის მასის ინდექსი ზღვარზე ნაკლები გახდა, მაგრამ შეჩერებას არ ვაპირებდი-გატაცებული ვიყავი კალორიების



დათვლით, ვარჯიშით. დღემდე მაქვს შემონახული ჩემი ძველი დღიური, რომელიც ამ საკითხებს ეხებოდა. კვებითი აშლილობა, საშინელი გამოცდილება იყო ჩემთვის. ეს ტრაგედიაა და ამას მტერსაც კი არ

გუსურვებდი. მინდა, ხმამაღლა ვიყვირო ამ საშინელებაზე, მინდა, ხმა მივაწვდინო ყველა იმ ადამიანს, ვის სულშიც ამ სივერაგეს მოუნდობია შეღწევა.

...ნაცნობ გზას მიუყვებოდა კაფანდარა გოგო, ისე მიუყვებოდა, თითქოს მიწაზე ფეხსაც არ აბიჯებდა, საოცარ სიმსუბუქეს განიცდიდა, ჰაერში დაფრინავდა. ქუჩის მეორე მხარეს თბილ მზერას წააწყდა. ეს მისი დედის თვალები იყო, გოგომ ხელი აუწია და მისკენ წავიდა, დედამ შეილი გულში ჩაიკრა, ქალს თვალები ცრემლით, ხოლო გული კი სევდით ჰქონდა სავსე, მაგრამ შეილს რომ შეემჩნია რამე, ამას არ დაუშვებდა.

ის კაფანდარა გოგო, რომელიც გზაზე მიდიოდა, მე ვარ, 16 წლის ნინო ციციშვილი

მას შემდეგ დიდი დრო არც გასულა...

იმ დღეს, დედასთან ერთად განვაგრძე გზა, ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების მზერამ ჩემი გული შეაკრთო.

- რატომ მიყურებენ ასე? - ვკითხე დედას გაუბედავად. მან დამამშვიდა და მიპასუხა, ჩემო გოგონა, ყურადღება არ მიაქციო. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გამაყოლეს თვალი, მაგრამ ამჯერად სხვამ. ბრაზი მომერიდა, მოსვენება დაეკარგე, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ვამჩნევდი დადარდიანებულ დედას, დარდი ისევ რომ ემატებოდა და ადამიანურობა აკლდებოდა, მაგრამ ხელის ჩაქნევას არ აპირებდა. იგი ფიქრობდა თურმე, იმ ექვსთვიან ბრძოლაზე, რომელიც უნდა დამთავრებულიყო და ეს იმედის ნაპერწკალი ძალას მმატებდა. მე კი ისევ კაფანდარა მინდოდა ვყოფილიყავი. 38-ს ჯიუტად იმეორებდა ჩემი გონება. წონის დეფიციტი რომ მქონდა, კარგა ხანია ვიცოდი, მაგრამ ჩემი თავი ასეთი მომწონდა.

აკვირებულ ოცდათვრამეტს გულისტკენისა და პრობლემური დღეების უსასრულო მოჰყვა ჩემს ცხოვრებაში, ბევრი უტაქტო ნათქვამი, ბევრი მწარე სიმართლე ვიგემე, მაგრამ იმას ვერ ვგუგუბოდი, რომ ჩემი გადაწყვეტილება არ იყო მართებული და ამდენი “შრომა” ფუჭად მეყრებოდა წყალში.

- ავადმყოფს გაუხარ-მეუბნებოდა ერთი...

- ბიოლოგიის კაბინეტში რომ ჩონჩხია, იმას უფრო გავს-ამბობდა მეორე

- არა, მაკარონს-აზრს გამოთქვამდა მესამე...

არასასურველი შედარებები ჩემთვის გულსატკენი იყო, მაგრამ პოზიციები არ მეთმობოდა. ჩემი სიგამხდრე ყურადღების ცენტრში მოექცა და მინიშნების ობიექტი გახდა. ყოველივე ამას მტკივნეულად განვიცდიდი, რეალობიდან გამორკვევას ვცდილობდი, საკუთარ თავთან ჭიდილს მივცემოდი და ველოდებოდი, როდის გაიმარჯვებდა ჩემი პირადი მე.

როცა ადამიანის წონა თითოთ საჩვენებელი ხდება, იქნება ეს ზედმეტი თუ მცირე, ორივე ძნელად შესაგუებელია. დაცინვა ორივე შემთხვევაში მწარეა და არამართებული მისით მანიპულირება. ზოგი მეტისმეტ სიგამხდრეს ნაკლადაც არ მიიჩნევს, მაგრამ ის, რაც სხვა ადამიანებით-საგან განსხვავებულს გაგხდის, ის, რაც სხვა ადამიანებს უარყოფით ემოციებს აღუძრავს და საცოდავობის გრძობას გაუღვივებს, უდიდესი ნაკლია. ამ ნაკლს არ უნდა მისცე განვითარების უფლება. იგი უნდა მოაშთო, საძირკველი უნდა დაუნგრეო და ფარდა დროულად ახადო.

ნანატრმა დღემ აღარ დააყოვნა. ის დღე ჩემს ცხოვრებაში მთელი სრულყოფილებით შემოიჭრა და საკუთარი სხეული დამანახა. მე, ჩემდა საბედნიეროდ, ხელი მაღლიანმა ადამიანმა ჩამჭიდა და ფეხზე დამაყენა სწორი გზის მინიშნებით...

“რაც უფრო მეტს ვწერ,

მით უფრო ვმშვიდდები,

მით უფრო ვერევი

პრობლემას ვერაგს”

მას შემდეგ აკვირებულ ოცდათვრამეტს უარი ვსტკიცე. ჩემი ფიქრი და ოცნება სიკეთით, სილადით და მომავლის რწმენით ავისო...

გზაზე ახლაც მიდის კაფანდარა გოგო, ახლაც მიდის, მაგრამ ავადმყოფი კაფანდარა კი არა, ჯანსაღი, ბედნიერი და გამარჯვებული.

ნინო ციციშვილი-16 წლის, ხაშური.

(გაგრძელება. დასაწყისი № 21,22,23,24,25,26,27)

ამ გარემოებამ დიდი ზარალი მიაყენა არა მარტო სახელოსნოებს, რომელსაც კვალიფიციური მუშა-ხელი მოაკლდა, არამედ რკინიგზასაც, რადგან დღე იხე არ გავიდოდა, რომ რაიმე ტრაგიკული შემთხვევა არ მომხდარიყო სახელოსნოებში, რაც ადამიანთა სიცოცხლეს იწირავდა ან კიდევ ტექნიკური მიზეზებით არ შეფერხებულყო მატარებლების მიმოსვლა. „ამ კარგი ხელოსნების წასვლამ აქედან დიდი ზარალი მისცა რკინის გზას: ისრე პოეზი არ გაივლის, რომ ყოველ დღე ორთქლით მატარებელი არ წახდეს და პოეზი არ გაჩერდეს გზაში, სანამ მეორე ორთქლით მატარებელს არ მიაშველებენ ხაშურითგან. ბევრჯერ მომხდარა, რომ მეორე ორთქლით მატარებელიც, გაგზავნილი მისაშველებლად, გზაში გაფუჭებული და გაჩერებულია, სინამ მესამე არ მიუშველებიათ“ – აღნიშნავდა იგივე გახეთი.

ამავე დროს გახეთს მიაჩნდა, რომ „ეს სწორედ იმისაგან ხდება, რომ კარგი ხელოსნები და მაშინისტები აღარ არიან ხაშურის ქარხნებში და ნურც იფიქრებს ჩვენი რკინის გზის გამგეობა, რომ სადმე იშოვნოს კარგი ხელოსნები და მაშინისტები, მანამ აქ ბატონი ვასილიყვი იქნება“.

გახეთს მოჰყავს შემთხვევა, რომ „გუშინდელი ქალაქის პოეზები სულ ვერ მოვიდნენ ხაშურში. ეს მოხდა ორთქლით მატარებლის წყალობით, რომელიც გაფუჭდა და ხაშურიდან სამ ვერსზედ გაჩერდა. გაჩერებული პოეზი ამოავსო ქარმა თოვლით. ვერ შეძლეს იმის / მატარებლის-თელ / გამოტანა, თუმცა ორი ორთქლით მატარებელი კიდევ მიუბეს. პასაჟირები სადამოს 7 საათამდინ მშვირები დარჩნენ, ხოლო 7 საათზე, ისიც გომის სტანციაში დაბრუნდა პოეზი“.

გახეთი ამ შემთხვევაში ბრალს სდებს რკინიგზის მოუწყობლობას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ორთქლით მატარებლისა რა ბრალია, თუ რკინის გზას კაი ხელოსნები არა ჰყავს. მაგრამ კაი ხელოსნებს რაღა გააჩერებს აქა თუკი იმათი უფროსი იმის მაგივრად, რომ რაც შეიძლება გაუადვილოს კაი ხელოსანს ცხოვრება ამისთანა ადგილას და ამით თავის საქმეზედ გაამუყათოს, შეუდრენს იმათ მუდამ როგორც ძალი და ცდილობს, საწყალს მუშას გამოსტაცოს პირიდან ის ლუკმაც, რაც უშოვნია“.

1882 წლის 11 თებერვალს, დილის 9 საათზე სახელოსნოებში დიდი ტრაგედია დატრიალდა – აფეთქდა ქვაბი, რის შედეგადაც 10 მუშა დაიღუპა. ამ ფაქტმა საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში და მომხდარ ტრაგედიაში კვლავ სახელოსნოების ადმინისტრაციას სდებდნენ ბრალს. აფეთქების შედეგად დაიღუპნენ:

- 27 წლის მემანქანე ფილიპე მილორავა – სიდამწვრით, რომელიც ჯერ კიდევ 1880 წლის 11 ივლისს უბედური შემთხვევით დაზიანდა.
- 23 წლის მხეთავი სოლომონ მილორავა – ძლიერი სიდამწვრით.
- ცეცხლფარეში საჩინო მილორავა – სიდამწვრით.
- 20 წლის სტეფანე ღვამიანავა.
- 24 წლის ჯამბულეთ ლაბარტყავა.
- 22 წლის მურზა ჩილაჩავა.
- 25 წლის პავლე ჭანტურია.
- 21 წლის ასლან კუპრაშვილი.
- 28 წლის ცეცხლფარეში პავლე ალანია.
- 25 წლის სილო ციციანავა.

გადარჩა მხოლოდ ერთი მუშა – მიხა ჭანტურია, რომელმაც ასევე სიდამწვრე მიიღო.

როგორც ვხედავთ, დაღუპულთა შორის არცერთი არ არის 28 წლის ასაკს ზევით. ესეც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ სახელოსნოებში ძირითადად ახალგაზრდა მუშები იყვნენ დასაქმებულნი. მათი ცხოვრების პირობები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებოდა და ხშირ შემთხვევაში, რაიმე ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ეს კი იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა აქ. მარტო ამ წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოხდა 25 უბედური შემთხვევა, აქედან მიხაილოვოში იყო 15.

ქართული და რუსული პერიოდული პრესა /„დროება“, „კავკაზი“ და სხვა/ არაერთგვაროვნად გამოხმაურა მომხდარ ტრაგედია. მათ ფურცლებზე გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობით ტრაგედიაში მუშები იყვნენ დაღანა-შაულბულები, ხოლო არაოფიციალური ინფორმაციების მიხედვით პასუხისმგებლობა მომხდარზე მთლიანად სახელოსნოების ხელმძღვანელობას ბრალდებოდა. ამ ვითარებას გახეთი „დროება“ თავის ფურცლებზეც ასახავდა და წერდა: „ჩვენი გახეთის ოცდამეოთხე ნომერში დაბეჭდილი იყო საშინელი ამბავი ხაშურში მომხდარ უბედურების შესახებ. მაშინ ჩვენ ვიწერებოდით, რომ ამ უბედურ შემთხვევის დროს ოთხი კაცი მოკვდაო და შვიდი კი მძიმედ ავადმყოფები არიანო. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ამ შვიდში ექვსი უკვე მოკვდაოა და ერთის სიკვდილსაც დღე-დღეზედ მოელიან.“

ამ უბედურების თაობაზედ დღევანდელს „კავკაზში“ ორი, ერთმანეთის წინააღმდეგი შენიშვნაა დაბეჭდილი.

ოფიციალური შენიშვნა სულ ამ უბედურებას თვითონ მოკლულ-მოხარშულ მუშებს აბრალებს: წინა დღით იყო გამოცდილი და გასინჯული უბედურების მომხდენი, გახეთქილი ქვაბით, არავითარი წუნი არ ჰქონდაო. მაგრამ მუშებმა, რომელნიც ამის მახლობლად დასხდნენ პურის საჭმელად, ყურადღება არ მიაკციეს ამ ქვაბში წყლის დუღილს, ერთობ მომატებული ორთქლი მოგროვდა, გასკდა და დაიღუპა ეს ხალხიო.

მეორე შენიშვნა – ხაშურიდამ მიღებული კორესპონდენცია – კი სრულებით ამის წინააღმდეგს გვეუბნება: დიდი ხანია მუშები და მაშინისტები ეუბნებოდნენ ხაშურის სახელოსნოების უფროსს ბ. ვასილიყვს, რომ ეს ქვაბი ერთობ დაძველებულია, საშიშიაო, რომ უბედურება არ მოახდინოსო და ამის გამო კარგი იქნება, შეგვანერებიოთ ამის მუშაობაო. თვით წინა დღით იყო აქ ბ. ვასილიყვი, ამბობს კორესპონდენტი, განმეორებით უთხრეს ხელოსან-მუშებმა ამ ძველის ქვაბის შეჩერება, მაგრამ იმან არ შეიწყინარა ეს თხოვნაო: ვისაც ამ ქვაბთან მუშაობა არ სურს, სულაც გაბრძანდეს სახელოსნოდანაო.

ამ ბ. ვასილიყვზე, რომელსაც ერთი მძიმე თანამდებობათგანი უჭირავს ფოთი-თბილისის რკინის გზის გამგეობაში, იმის ხეპრულ მოქმედებაზე, იმის ცუდ ხასიათებზე და სხვა იმდენი რამ დაწერილა ადგილობრივ გახეთებში და იმდენი რამ გაგვიგონია, რომ ჩვენ ადვილად გვჯერა კორესპონდენტის სიტყვები იმის შესახებ. უცხოეთიდან გადმოხვეწილი კაცი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს განსაკუთრებით გლეხებს, უბრალო მუშებს პირუტყვებად სთვლის, რას დაზღვეს, რა ბევრს ინადლებს, თუ ათიოდე ამისთანა მხეცი ამგვარ

უბედურ შემთხვევით დაიხოცება! ისინი ხომ ადამიანები არ არიან, იცხოვრებენ დედა-მიწაზე თუ არა, სულ ერთია! ასე სჯიან ბ. ვასილიყვის გვარის კაცები...

მაგრამ, ვთქვათ, კორესპონდენტი ტყუის, ვთქვათ, ყველა ის, რასაც ოფიციალური შენიშვნა ამბობს, ყველა მართალია.

რა სწერია ამ ოფიციალურ შენიშვნაში? უბედურება იმის გამო მოხდაო, რომ მუშები საორთქლე ქვაბთან დარჩაო, ყურადღება არ მიაქციეს იმაში წყლის დუღილს, მომეტებულიად აღუდებული წყალი ორთქლად იქცა, ქვაბმა ვერ შეიმაგრა, გასკდა და დაიხოცა იქ მყოფი ხალხიო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ასე უპატრონოდ მიტოვება ამოდენა სახელოსნოსი განა შეიძლება? ის მუშები რომ არ ყოფილიყვნენ, თვალ-ყურის დამჭერი ხო მაინც არ იქნებოდა სახელოსნოში და ქვაბი მაინც გასკდებოდა. განა დე-ჟურნები არ უნდა ყოფილიყვნენ სახელოსნოში, რომ ყველაფერზე ყურადღება მიექციათ? აქაო, რატომ ტერმომეტრს არ უცქირეს, უნდა შეეტყუთო, ქვაბს შიში აქვს ორთქლად გადაქცეულ წყლისაგანაო და ამიტომ თვითონ არიან დამნაშავენიო! განა ტერმომეტრის ყურება და სინჯვა უბრალო მუშების მოვალეობაა და საქმე?

პირველი და მეორე არ არის ამგვარი წინდაუხედავი შემთხვევა და უბედურება ჩვენს რკინის გზაზე, პირველი და მეორე არ არის ეს იმის დამამტკიცებელი მაგალითი, რომ ამ რკინის გზის გამგებელნი გროშად არა სთვლიან ადამიანის სიცოცხლეს და ფიქრობენ, რომ ხალხი რკინის გზის ჰექციონერები ჯობის გასატენად არსებობს და არა რკინის გზა ხალხის სასარგებლოდ“.

გახეთი გამოთქვამდა რწმენას, რომ „...უმადლესი მთავრობა უყურადღებოდ არ დააგდებს ამ დიდ უბედურებას და დაწვრილებით, სასტიკად გამოიძიებს – თუ ვინ იყო იმაში დამნაშავე და სასტიკად დასჯის ამ დამნაშავეებს“. გახეთი იქვე შენიშნავდა, რომ რკინიგზის ხელმძღვანელობა სათანადო დახმარებას გაუწევდა დაღუპულთა ოჯახებს.

1881 წლის 24 ოქტომბერს, ხაშურის სახელოსნოებში კვლავ იფეთქა დიდ-მა ხანძარმა. სადამოს 8 საათზე, უცბად შეიქმნა ხმაური და ორთქმაველების გაბმული ყვირილი. დაბაში ხმა დაირხა – რკინიგზის სადგური იწვისო, ხალხმა მაშინვე მიაშურა იქითკენ, საიდანაც ცეცხლი მოჩანდა... ცეცხლი ეკიდა არა სადგურს, არამედ რკინიგზის სახელოსნოებს – „დიდ ქარხნებს“.

სახელოსნოები იწვოდა, ცეცხლის ჩამქრობი კი არავინ ჩანდა. ხანძართან თავი მოეყარა 500-მდე მუშას და სხვა პირებს. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. თითქმის როცა შენობის ნახევარი დაიწვა, მაშინ „მოაგორეს სამი ორთქლის მაშინა წყლითა და რამოდენიმე ცეცხლის საქრობი მაშინაც“, მაგრამ უკვე გვიან იყო. შუალამდე ეკიდა ცეცხლი შენობებს, რომლის უმეტესი ნაწილი დაიწვა.

სახელოსნოებში შექმნილმა ასეთმა მდგომარეობამ და განსაკუთრებით კი როდესაც ფოთი-თბილისის რკინიგზას შეუერთდა თბილისი-ბაქოს რკინიგზა, უკვე 1881 წლის ზაფხულიდან დღის წესრიგში დადგა ხაშურიდან რკინიგზის მთავარი სახელოსნოების თბილისში გადატანის საკითხი.

1883 წლის 1 მაისიდან რკინიგზის მთავარი სახელოსნოების რამდენიმე საამქრო: ორთქლმაგალ-შემკეთებელი, სახარატო, სამკედლო და სამსხმელო, ხაშურიდან თბილისში გადაიტანეს, რამაც ერთხანს აქ მუშათა რაოდენობის შემცირება გამოიწვია, მაგრამ შემდგომ პერიოდში, როცა დაიწყო სურამის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა, კვლავ გაიზარდა. ამ პერიოდის ხაშურის იერსახეს და მუშათა მდგომარეობას კარგად აღწერს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი, რომელმაც 1888 წლის 22 იანვარს გახეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა „მგზავრის შენიშვნები“. მასში წერდა: „ხაშური პატარა ქალაქს ჰგავს, სადაც ბლომად არის ფაბრიკები, სხვადასხვა ქარხნები, სადაც მუშა ხალხს ჭიანჭველასავით გაუდის ფუსფუსი. ხაშური თანდათან ჰკარგავს მნიშვნელობას, რადგან დღითიდღე იშლება აქ ქარხნები და ტფილისში გადააქვთ, მაგრამ მაინც ბლომად არის აქ მუშა ხალხი, რომელნიც ქარხნებში მუშაობს... ჯიბრში უდგას /რკინიგზის/ გამგეობა მოსამსახურე ხალხსა, იმათის ჯაფას, პირუტყველს გამრჯელობა-სა და შრომას ჯეროვნად არ აჯილდოვებენ. ბევრს ჯამაგირი უნახვევდებოდა. ბევრჯერ შემოუჩივლიათ გულის კვნესით საბრალოებს, რომ ასე უღმერთოდ გვექცევინათ, ჯარიმას ჯარიმაზე გვახდევინებენ და ისეც მცირე ჯამაგირს უკანვე გვართმევენო...“

1895 წელს, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების დანარჩენი საამქროებიც გადაიტანეს თბილისში. ესენი იყო ვაგონების შემკეთებელი, სადურგლო და სამღებრო. ხაშურში დარჩა მხოლოდ დეპო, რომელთანაც მუშაობდა მცირე სახელოსნოები. დეპო და სახელოსნოები ეწეოდნენ რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, ორთქლმაგვლებისა და ვაგონების შეკეთებას. დიდ რემონტს მხოლოდ თბილისის მთავარი სახელოსნოები აწარმოებდნენ. ხაშურის ამ მცირე სახელოსნოებში 1900 წლისათვის მუშაობდა 200 კაცი, გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება უდრიდა 294.115 მანეთს, ხოლო ძრავთა სიმძლავრე 25 ცხენის ძალას. თითქმის იგივე სურათი იყო 1913 წლისათვის. სახელოსნოებში ისევ 200 კაცი იყო დასაქმებული, გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება კი 300.214 მანეთს შეადგენდა, ხოლო ძრავთა სიმძლავრე კვლავ 25 ცხენის ძალა იყო.

სურამის გვირაბი – ლაზანდა და სინაგოგილი

ხაშურის დაწინაურებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სურამის გვირაბის მშენებლობის დაწყებამ, რამაც შემდგომში საბოლოოდ განაპირობა მისი, როგორც ზემო ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბება.

სურამის უღელტეხილი, რომელზეც გადადიოდა თბილისი-ფოთის რკინიგზა, ძალზე რთული უბანი იყო სარკინიგზო მიმოსვლისათვის. აქ ხშირად ფუჭდებოდა სარკინიგზო გზა სხვადასხვა სტიქიური მოვლენებისაგან. ხშირი იყო ავარიების შემთხვევები, ადამიანების მსხვერპლი. სურამის უღელტეხილი განსაკუთრებით ზამთრობით ჭირვეულობდა.

ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი სერგეი მესხი 1876 წელს სურამის ურელტეხილის შესახებ წერდა: „აი, ახლაც; სურამზე წვიმები ყოფილა და ამას სურამიდან მოყოლებული ბეკთაუბნამდი რამდენსამე ალაგას ისეთნაირად გაუფუჭებია გზა და ხიდები, რომ ეს მეხუთე დღეა, ამ გზით ვეღარც მოგზაურები დაიარებიან და ვეღარც ფონტა გადმოაქვთ და ამბობენ, რომ ერთს კვირაზე ან კვირა ნახევარზე ადრე გზა ვერც გაკეთდებაო“.

თავაზ ლასაიძე

**ხ ა შ უ რ ი ს
ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ შ ი ს
(1 6 9 3 - 2 0 2 0 6 6)**

**- მიგრაციული პრობლემები საქართველოში -
კატარა სოფლის სევდა**

- 1 კვირის წინ
- წეროები
- მიფრინავენ
- სად?
- შორს.
- რამდენი?

სხვისი ამბების ძებნა არ დამიწყია, ყველას საკუთარი იმდენი გვაქვს, სხვას არ მივადგებით სასესხებლად, სამეზობლოს გადავხედვ, მომცეს ამის უფლება...

სტუდენტი ვიყავი, როცა გერმანიიდან დამირეკა ნათლიაჩემმა და მამის საფლავის მოვლა მთხოვა, უხერხულად რომ არ მეგრძნო თავი, სანაცვლოდ, ჩემი სტუდენტობის გამრავალფეროვნებას დამიბრდა (პირობა ორივემ შევასრულეთ, საფლავს ბალახი არ მოდებია, მე გერმანული „სეილებით“ გავატარე სტუდენტობა და ეს „სასარგებლო შეთანხმება“ ძალიანაც მომწონდა). მაშინ ემიგრაციაზეც ძალიან ცოტა ვიცოდი. ბავშვობიდან მახსოვდა ამბავი, როგორ გაექცა საბჭოთა რეჟიმს ნათლიაჩემის მამა და ემიგრაციაში წავიდა, წლების შემდეგ დაბრუნდა და საქართველოში გარდაიცვალა. სამი შვილიდან (ნათლიაჩემიც), სამივე წავიდა საქართველოდან, ერთი – ოჯახით ამერიკაში, დანარჩენი ორი – გერმანიაში, საქართველოში მხოლოდ მამის ხავესმოდებული საფლავის ქვა დარჩა. მათ ეზოში ვიდექი, ხეებზე შემხმარ შინდს, ფანჯრებჩამსხვრეულ, სახურავჩამოქცეულ სახლს, კარებზე ამოსულ ბალახს ვუყურებდი და პატარა ქვეყნის, პატარა სოფლის ტრაგიკულ ამბავზე ვფიქრობდი.

და ეს სოფელი ასეთია:

ჩემი სოფელი, პატარა, 40 კომლიანი სოფელია, ვაკე ადგილას, საცხოვრებლად ძალიან მოსახერხებელი. თუ არ დაიხარებ, მშიერი რომ არ დარჩები კაცი, ისეთი. მაინც ვერ მოიგო ადამიანების გული - 40 სახლიდან, 20 დაკეტილი და ქალაქად გადასახლებული ოჯახია. ზაფხული მიყვარდა, ყველა დაკეტილი სახლი იღებოდა, ივსებოდა სოფელი. ბავშვი ვიყავი, უბრალოდ და მარტივად, ბედნიერი, ყველა ჩემი ზაფხულის მეგობარი ჩემთან იყო. მერე გავიზარდე და დავინახე, რომ:

სოფელი ახლაც დაცლილია, სოფლის ერთ უბანში (სულ ორია), ყველა ახალგაზრდა ქალი ემიგრაციის რთულ და დაუსრულებელ ფერხულში ჩაება, მათი რიცხვი სტატისტიკაა, მდგომარეობა და მიზანი – სხვადასხვა, მიზეზი ერთნაირი-ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა. და როგორც ყველა პატარა, განვითარებად ქვეყანაში, აქაც ქალებმა აიღეს ოჯახის, მომავლის გადარჩენის მისია და დაადგინენ გზას იმ ქვეყნისკენ, მხოლოდ სახელი რომ გაეგონათ და ერთი-ორჯერ გეოგრაფიის გაკვეთილზე, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ამ ქვეყნის კონტური ჰქონდათ შემოსახული. ახლა ამ ქვეყნის ბებიებს ვარცხნიან თმას, უცვლიან პამპერსს, ათასჯერ ახსენებენ საკუთარ სახელს, იმისთვის, რომ(სშირად) საქართველოში დარჩენილი ქმრის მაღაზიაში ვაღადავებულ ლუდისთვის, შემთხვევით სტუდენტი შვილისთვის, მერე იმისი შვილისთვის გამოგზავნონ ფული. ხო, სანამ ფულის გამოგზავნამდე და მის გონივრულ, ან არაგონივრულ განაწილებამდე მივალთ, ჩემი იტალიაში, ამერიკაში, საბერძნეთში მცხოვრები მეზობლები მინდა გავაცნოთ, სხვა განზრახვით და მიზნებით წასული მეზობლები:

ირინას საბერძნეთი

მიზეზი:

- ვიცოდი, მომენატრებოდნენ, დარდი და ფიქრი მომკლავდა. ის უფრო მტკიოდა, ვერაფერს რომ ვერ ვუკეთებდი, ხელს ვერ ვაშეველებდი, აბიტურიენტებს მარტო ვერ გაუშეკლავებოდი. ქმარიც ემიგრაციაში იყო, უკრაინაში წავიდა, ათას საქმეს მოედო, ვერაფერი გააკეთა, ისევ მე უნდა ჩამეცვა ქალამნები შვილებსთვის. ასეთ მომენტებში საერთოდ არ ფიქრობ, რომ ეს წლები გავრძელებოდა, შეიძლება, დაბრუნება საერთოდ ვეღარც ვაპირებდი, ახლა, ამ მომენტში უნდა გადარჩე, რასაც სიცოცხლე მიეცი, კიდევ უნდა აცოცხლო, გზა მისცე. ყველა გზა მოვებუნე. გონებაში რამდენიმე წელი მიტრიალებდა, რომ აქედან უნდა გამეღწია. ძიად ვმუშაობდი, სამსახურიდან დაბრუნებული, ხან ვქარავანი და ვყიდდი, ხან ნამცხვრებს ვაბარებდი მაღაზიაში, არაფერი გამოვიდა, ვერაფერი შევძელი, ჩემი ნერვული სისტემა შეეწირა ამაზე დარდს.

არჩანანი-შაქავი:

- ჩემი დები საბერძნეთში ცხოვრობდნენ, დეიდაც, რომ დაინახეს ჩემი მდგომარეობა, ფული გამომიგზავნეს წასასვლელად, არაღეგაღურად წავედი, ავტობუსის საბარგულით, ოთხადმოკეცილი, უპაეროდ, რამდენი ადამიანი შეწირვია გზას, მერე გავიგე, მაგრამ შიში არ მქონდა, შვილები მელოდნენ, ყელთან ისევ მათგან გამოყოფილ სითბოს და ცრემლს ვგრძნობდი, ახლაც მეტირება ამ განცდისგან, ექვსი წელია, ვერ გავთავისუფლდი ამ შეგრძნებებისგან, ალბათ, ესაა დედობა. ბევრგან ვიმუშავე, სამ ავადმყოფ ადამიანს ვუვლიდი ერთდროულად, პირადი ჰიგიენისთვისაც არ ვიტოვებდი ფულს, ბოლო ცენტამდე ვგზავნიდი შვილებთან. არც აქაა ეკონომიკურად გამართობი ქვეყანა, ძალიან ცოტას ვეიხდიან, ქანცვაცლილი ვბრუნდები სახლში. საბუთები ისევ არ მაქვს წესრიგში, პანდემიის პერიოდში, ორი თვე იმ ქალთან ჩავრჩი, ვისთანაც სახლს ვაღაგებდი, არაღეგაღვი ვერ გავიღოდი გარეთ, დამიჭერდნენ. რამდენჯერ შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, მომაკვდავი ექიმთანაც ვერ მივედი, ჯერ ვერ დავბრუნდები საქართველოში, ჯერ ჩემი შვილებისთვის ვერაფერი გავაკეთე. ლევანი ბევრს მუშაობს, რომ სახლი იყიდოს, პირობები შექმნას და სახლში დააბრუნოს დედა. გული მიჩუყდება, ძალიან მგრძობიარე გავხდი, არ ვიცი, როგორი დაეუბრუნდები ჩემს ოჯახს, ან თუ ჭირდებათ კიდევ დედა ჩემს შვილებს, ახლა ამაზე ფიქრი მკლავს, სხვა ხომ არ გავხდი მათ ცხოვრებაში? როგორ მინდოდა, ჩემს სახლში ვყოფილიყავი დიასახლისი, ჩემს ქვეყანაში შემექმნა რამე, აქ ცასაც სხვა ფერი აქვს, მაგრამ დაბრუნების და უმომავლობის შიში მაქვს, ქვეყანას გადავეჩვიე.

არ დაბრუნდება!

ანის ღაღა

წავიდა...

- რომ წავიდა, იმ დღეს გავიზარდე, მივხვდი, რომ ბავშვობა დამთავრდა, ჩემს ძმაზე მზრუნველობა უნდა ამეღო. მამა რამდენიმე წლით ადრე წავიდა ამერიკაში, ცოტა რომ მოეწყო, დედაც წაიყვანა, მაშინ არ მესმოდა ემიგრაციის მნიშვნელობა, უკეთესი პირობების შექმნა უნდოდათ ჩვენთვის და წავიდნენ. „მალე ჩამოსვლა“ რამდენიმე წელს გაგრძელდა, მოთხოვნილებების სია ყოველდღიურად გრძელდებოდა და უსასრულო ხდებოდა. ცალ-ცალკე ძალიან განვიცდიდით ამ ამბავს, ახლა ძალიან ვნანობ, რომ არ მოეთხოვე უკან დაბრუნება, კატეგორიულად. არასდროს გვიყვებოდნენ იმ სირთულეებზე, რასაც იქ გადიოდნენ, ისევ ჩვენ გვიფრთხილდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბებია-ბაბუების მზრუნველობა არ გვაკლდა, მშობლებთან სიახლოვე გვენატრებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ, დიდი ტრაგედია დატრიალდა, ჩემი ძმა, მშობლების გამოგზავნილი ფულებით გათამამებული, ნარკომომხმარებელი გახდა, რამაც მისი სიცოცხლე შეიწირა. განადგურებული მშობლები დამიბრუნდნენ, ფერ შეცვლილები, სინდისის ქნეჯნი. რამდენიმე ხნის შემდეგ, მამა უკან გაბრუნდა, თავისი საქმეები კარგად ჰქონდა აწყობილი.

სულ წავიდა

დედამ ვერ გაუძლო ამ ტკივილს, გვერდიდან არ ვშორდებოდი, მარტო არ ვტოვებდი, მონასტერს შეაფარა ერთ ხანს თავი, მაგრამ შვილის დატოვების განცდას ვერ მოერია, მისი სიკვდილის მიზეზად თვლიდა თავს, რომ არ დამეტოვებინა, არ წავსულიყავი, დედის სითბო, მზრუნველობა არ მომეკლო, ცოცხალი მეყოლებოდაო. ძალიან ტკიოდა, ვეღარ გაუძლო და თვითმკვლელობით



დაასრულა სიცოცხლე. ოჯახი დაიცალა, მატერიალური სიკეთის ძებნამ, სხვა დიდი სიკეთეები წავგართვა, ახლა რომ ვფიქრობ, არაფერი მიდირდა ამად, არც ის კაბა, ძალიან რომ მომწონდა და პირველ პაემანზე წავედი, არც ტელეფონი, უნივერსიტეტში პირველს რომ მქონდა, დედა მდომებია, ისეთივე ლამაზი და ცოცხალი.

მე

მეგობართან ჩავედი სალონიკოში (ისიც ჩემი სოფლის რძალია), მენატრებოდა და ჩავედი, თვითონ წლებია ვერ ახერხებს ჩამოსვლას, ვერ მოაწვრივს საბუთები. ორი კვირა ვიცხოვრე თითქმის ემიგრანტის ცხოვრებით. პატარა, 30 კვ.მ-იან ბინაში ცხოვრობს. მეძინა, როცა მიდიოდა სადარბაზოების, სახლების, სხვისი შვილების მოსავლელად (აქ თავისებს დედამთილი უვლის), მერე ქალაქში ვხვდებოდი ერთმანეთს, ცდილობდა, ჩემი იქ ყოფნა სასიამოვნო და საინტერესო ყოფილიყო. გამოუვიდა.

ემიგრანტები საქართველოდან:

ყველგან არიან, ბევრნი არიან, ყველა მაღაზიის გამყიდველად, მიმტანად, მომვლელად, მშენებლობაზე, ქუჩაში, არაფრისთვის... მცნობდნენ, მაშინვე ქართულად იწყებდნენ საუბარს. ზოგი ოცი წელია იქაა, შვილებმა არ იციან ქართული, ჩამოსვლა უნდათ, ვერ „გადადეს“ ფული, სხვა ქვეყანაც შეიყვარეს. ყველა ემიგრანტის უკან ისტორიაა, ადამიანური, მძიმე, მოლოდინებით სავსე. არაფის უთქვამს, რომ დაბრუნება უნდათ, მიეჩვიე, გაუცხოვდნენ, ადამიანური რესურსი სხვა ქვეყანაში დახარჯეს, მიზეზურად ანაზღაურებად გაყიდეს ახალგაზრდობა, საკუთარი ოჯახებისთვისაც სხვები გახდნენ. არ ვიყნოთ პათეტიკურები, ადამიანებს ვკარავთ.

პოლიტიკა, დამოკიდებულება:

უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა, ბუნებრივია, ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს განვითარებაზე, წამოიჭრა ისეთი პრობლემები, როგორცაც: დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმება, კვალიფიციური კადრების გადინება და ინტელექტუალური პოტენციალის გაფლანგვა. კი, შეუქცევადი პროცესია მიგრაცია დღეს, გუთნახმებით, არც მხოლოდ ჩვენი ქვეყანა დგას ამ გამოწვევის წინაშე და ვკითხვლობთ, როგორია ამ დროს სახელმწიფო პოლიტიკა, გვირდა კი, დავიბრუნოთ მოქალაქეები, რომლებიც იქიდანაც კი ახერხებენ ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას? ბოლო, 10 წლის განმავლობაში, 800 000 ადამიანი წავიდა საქართველოდან. 2016 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტების ხელშეწყობისათვის, განისაზღვრა ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმაც, მაგრამ სოციალური ფონი და ეკონომიკური მდგომარეობა იგივე რჩება, უცვლელია, ირინას, ანის, მარიაშის, გიორგის ცხოვრების ისტორიაც და სანამ, ქმედებას და კონკრეტულ წინსვლას დაიწყებს ქვეყანა:

- წეროები
- მიფრინავენ
- სად?
- შორს...
- რამდენი?
- ბევრი...
- ერთი, ორი, სამი...

თამარ ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი ვიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
 P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.